სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის უსაფრთხოების ავტორიზაციის მინიჭებისთვის

1. განმცხადებელთან დაკავშირებულ მონაცემები:

განმცხადებლის სახელწოდება _____

საქმიანობის ადგილი _____

მისამართი _____

საიდენტიფიკაციო კოდი _____

საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, ვებ.გვერდი, ტელეფონის ნომერი)

_____

2. განმცხადებლის ინფორმაცია

სახელი, გვარი _____

მისამართი _____

საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, ვებ.გვერდი, ტელეფონის ნომერი)

_____

3. უსაფრხოების ავტორიზაციის ტიპი:

ახალი ☐

წინა სერტიფიკატის ნომერი:

[ ]

განახლება* ☐

ვადის გაგრძელება* ☐

4. ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ:

მისასვლელი ლიანდაგის მდებარეობა და მიერთების სადგური:

_____
_____
_____
_____

მისასვლელი ლიანდაგის დანიშნულება და ფუნქციური გამოყენება:

_____
_____
_____
_____

5. მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისთვის გამოიყენება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები:

დიახ ☐

არა ☐

განმცხადებლის სახელი, გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის უსაფრთხოების ავტორიზაციის მინიჭებისთვის წარმოდგენილ განცხადებას თან ახლავს:

☐ 2.1 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

☐ 2.2 მისასვლელი ლიანდაგის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

☐ 2.3 უსაფრთხოების მართვის სისტემა, მისი შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები და შესაბამისი მტკიცებულებები;

☐ 2.4 სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგების ფარგლებში არსებული ლიანდაგებისა და ისრული გადამყვანების და სარკინიგზო გადასასვლელების ჩამონათვალი, მათი რიცხვითი მონაცემებისა და დანიშნულების მითითებით;

☐ 2.5 **განაცხადი,** იმის შესახებ, რომ სარკინიგზო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოზიციებზე/თანამდებობზე ხდება მხოლოდ იმ დასაქმებულების მიღება, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

☐ 2.6 **განაცხადი,** განცხადების წარდგენამდე ბოლო 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში გაცემულ შესაბამის ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, იმის შესახებ, რომ მისასვლელი ლიანდაგები, რომლებზეც მოთხოვნილია ავტორიზაცია, ტექნიკურად გამართულია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის;

☐ 2.7 მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისთვის გამოყენებული საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მათთან დაკავშირებული მონაცემების მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

☐ 2.8 **განაცხადი,** განცხადების წარდგენამდე ბოლო 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში გაცემულ შესაბამის ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, იმის შესახებ, რომ სატრანსპორტო საშუალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკმაყოფილებენ უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

☐ 2.9 იმ სარკინიგზო საწარმოების და არსებობის შემთხვევაში, მისასვლელი ლიანდაგის მფლობელების ჩამონათვალი, რომელთა სატრანსპორტო საშუალებები დაიშვებიან მისასვლელ ლიანდაგზე მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში;

☐ 2.10 **განაცხადი** იმის შესახებ, რომ მისასვლელ ლიანდაგზე საქმიანობისთვის დაიშვებიან, მხოლოდ იმ სარკინიგზო საწარმოების და მისასვლელი ლიანდაგის მფლობელების სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც გააჩნიათ მოქმედი უსაფრთხოების სერტიფიკატი/უსაფრთხოების ავტორიზაცია;

☐ 2.11 იმ მისასვლელი ლიანდაგების ჩამონათვალი, რომელთა მომსახურებასაც ახორციელებს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

☐ 2.12 მისასვლელი ლიანდაგის პასპორტი ან მისი შესაბამისი წესით დამოწმებული ასლი;

☐ 2.13 მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციაში მიღების აქტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

☐ 2.14 შესაბამის ინფრასტრუქტურის მენეჯერთან/სარკინიგზო საწარმოსთან შეთანხმებული მისასვლელ ლიანდაგზე მოძრაობის ორგანიზაციის წესი;

☐ 2.15 ინფრასტრუქტურის მენეჯერთან შეთანხმებული სადგურის ლიანდაგებში გადაადგილებასთან დაკავშირებული პირობები და სხვა მისასვლელი ლიანდაგის მფლობელებთან შეთანხმებული მოძრაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული წესები და პროცედურები, იმ შემთხვევაში როდესაც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით ახორციელებს სხვა მისასვლელი ლიანდაგების მომსახურებას;

☐ 2.16 შიდა წესები და რეგულაციები, იმ წესებისა და რეგულაციების მითითებით, რაც ვრცელდება სარკინიგზო საწარმოზე, რომელიც სარგებლობს ინფრასტრუქტურით;

☐ 2.17 მინდობილობა, მისი გაცემის შემთხვევაში;

☐ 2.18 დადასტურება, რომ გადახდილია განცხადების განხილვისთვის დადგენილი საფასური;

☐ 2.19 მოქმედი უსაფრთხოების ავტორიზაციის გაცემის შემდგომ უსაფრთხოების მართვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების ჩამონათვალი, მათ მოკლე აღწერილობასთან ერთად – უსაფრთხოების ავტორიზაციის განახლების ან ვადის გაგრძელებისთვის წარდგენილი განცხადების შემთხვევაში.